დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2026 წლის 9 ნოემბრის N 23/26 ოქმით

საბაკალავრო-კვლევითი პროექტის შესრულების ინსტრუქცია საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის



სარჩევი

შესავალი....2
მიზანი....2
სწავლის შედეგები....2
პროექტზე დაშვების წინაპირობა....3
სწავლების მეთოდები....4
პროექტის განხორციელების პროცესი და ადმინისტრირება....4
ადმინისტრირების თავისებურებები....4
ნაშრომზე მუშაობის პროცესი და ეტაპები....5
შეფასების კრიტერიუმები....9
კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები....9
წინასწარი განაცხადის შეფასების კრიტერიუმები....10
პროექტის საბოლოო დაცვის შეფასების კრიტერიუმები....11
ნაშრომის სტრუქტურა....13
Introduction....15
Purpose....15
Learning Outcomes....16
Prerequisites for Admission to the Project....16
Teaching Methods....17
Project Implementation Process and Administration....17
Administration Specifics....17
Work Process and Stages of the Paper....17
Assessment Criteria....21
Concept Assessment Criteria....21
Preliminary Proposal Assessment Criteria....22
Final Project Defense Assessment Criteria....23
Structure of the Paper....25

შესავალი

მიზანი

საბაკალავრო-კვლევითი პროექტი წარმოადგენს პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის შეჯამებას საბოლოო პრაქტიკული ნაშრომის სახით, რომლის მიზანია სტუდენტის ცოდნისა და პრაქტიკული უნარების პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობის გამოვლენა.

პროექტის მიზანია, რომ სტუდენტებმა პრაქტიკული მუშაობის პროცესში შეძლონ მიღებული კვლევითი, ანალიტიკური, დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნისა და უნარების კონსოლიდირება, და შესაბამისად, დაუკავშირონ საჯარო მმართველობაში მიღებული ცოდნა, მეთოდები, ანალიტიკური მიდგომები თუ განზოგადებული კონცეფციები კონკრეტულ თემას მათთვის საინტერესო მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, პროექტით გათვალისწინებულია, რომ სტუდენტმა საბაკალავრო- კვლევითი პროექტის შესრულებისას, ხელმძღვანელის მითითებით შერჩეული მიმართულებით შეძლოს კვლევის მიზნისა და ამოცანების მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრა, რელევანტური კვლევის მეთოდების შერჩევა და კვლევის განსახორციელებლად მათი გამოყენება. პროცესი ასევე მიზნად ისახავს კვლევის შედეგების გაანალიზებას და მიღებული ცოდნის არგუმენტირებულ ანალიზს შერეული თემის ჭრილში, პროექტის თემასთან და შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული მოსაზრებებისა თუ იდეების, გამოვლენილი პრობლემების და მათი გადაჭრის შესაძლო გზების იდენტიფიცირებას და კომუნიკაციას.

პროექტის თავისებურებაა, რომ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა პროექტზე იმუშაონ ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად, ხელმძღვანელობის პირობებში, ხოლო საბოლოო ნამუშევარს, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტის (კვლევის ანგარიში, პოლიტიკის დოკუმენტი, ა.შ.) სახით, აქვს პრაქტიკული ხასიათი, რაც გამოიხატება იმაში, რომ საბაკალავრო-კვლევითი პროექტი შესაძლებელია შესრულდეს საჯარო მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად კარგი მმართველობა, საჯარო სერვისები, დეცენტრალიზაციის საკითხები, ელექტრონული მმართველობა, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მართვა და სხვა.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო-კვლევითი პროექტი სრულდება წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად. პროექტის შესრულების პროცესში საკითხები, რომლებიც დარეგულირებული არ არის წინამდებარე ინსტრუქციით, რეგულირდება უნივერსიტეტის საბაკალავრო დებულების შესაბამისად.

სწავლის შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აიდენტიფიცირებს საბაკალავრო პროექტის თემასთან დაკავშირებულ პრობლემას, განსაზღვრავს კვლევის მიზნისა და საკითხის რელევანტურ კვლევის დიზაინსა და მეთოდოლოგიას;

- გეგმავს, ორგანიზებას უწევს, ახორციელებს და მართავს საბაკალავრო პროექტის თემასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;
- წინასწარგანსაზღვრული მითითებების საფუძველზე ეტაპობრივად ასრულებს პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებს;
- აანალიზებს საბაკალავრო პროექტის თემასთან დაკავშირებულ პროფესიულ ლიტერატურას, მასალას და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს;
- შეიმუშავებს მონაცემთა შეგროვების (თვისებრივი და რაოდენობრივი) ინსტრუმენტებს;
- საკითხის ირგვლივ აგროვებს და აანალიზებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს;
- განხორციელებული ანალიზის საფუძველზე და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;
- საჯარო მმართველობის სფეროში ნათლად აღწერს ფაქტს, მოვლენას, პროცესს, გამოკვეთს და აანალიზებს პრობლემას, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს და წარმოადგენს გადაჭრის ალტერნატიულ გზებს;
- აწარმოებს კომუნიკაციას პროექტის თემასთან და შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული მოსაზრებების და იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ;
- აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებით წერილობით ამზადებს პროექტს და წარმოადგენს ვერბალურად;
- აუდიტორიასთან აწარმოებს მართებულ კომუნიკაციას და პროფესიული ტერმინოლოგიის დაცვით მონაწილეობას იღებს დისკუსიაში;
- პროექტთან და საკვლევ თემასთან დაკავშირებით დასკვნების და მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში საკუთარ მოსაზრებებს წარმოადგენს წერილობით და ზეპირად სპეციალისტებისა თუ არასპეციალისტების წინაშე;
- შეისწავლის თემასთან დაკავშირებულ ახალ წყაროებს, ინფორმაციასა და მეთოდებს;
- პრაქტიკული სიახლეების, თანამედროვე ლიტერატურის გაცნობის გზით განაახლებს ცოდნას საჯარო მმართველობის სფეროში;

პროექტზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროექტი შეიძლება მომზადდეს მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრში. სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს 210 კრედიტი და შემდეგი სასწავლო კურსები:

- PUBL2000 კვლევის მეთოდები საჯარო ადმინისტრირებაში
- PUBL4112 შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში

სწავლების მეთოდები

- დისკუსია/დებატები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;

- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- პროექტებზე დაფუძნებული სწავლება;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- გუნდური მუშაობა;

პროექტის განხორციელების პროცესი და ადმინისტრირება

ადმინისტრირების თავისებურებები

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, სურვილის შემთხვევაში, დამამთავრებელ სემესტრში (VIII) იმუშაოს საბაკალავრო-კვლევით პროექტზე, რაც სწავლის პროცესში შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს (იხ. საბაკალავრო-კვლევითი ნაშრომის პროექტის მიზანი).

პროექტის საბოლოო პროდუქტი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ნაშრომის/დოკუმენტის სახით, რომელზეც სტუდენტები მუშაობენ სრული სემესტრის განმავლობაში. ნაშრომი წარმოადგენს საჯარო მმართველობის სფეროში საჯარო პოლიტიკის ან ადმინისტრაციული საკითხის შესახებ სტუდენტისთვის საინტერესო მიმართულებით სამაგიდე ან/და ემპირიული კვლევის განხორციელებას და შედეგებზე დაყრდნობით, კვლევის ანგარიშის, პოლიტიკის დოკუმენტის, შეფასების დოკუმენტის მომზადებას.

პროექტის შინაარსი ორიენტირებული უნდა იყოს (თუმცა არ შემოიფარგლება) ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საჯარო პოლიტიკის, ადმინისტრაციული რეფორმისა თუ საჯარო სერვისების მიმართულებით განწყობების და დამოკიდებულებების შესწავლა, საჭიროებების კვლევა, ორგანიზაციული კულტურის, ცვლილებების შესწავლა და შეფასება, გავლენის ანალიზი და ა.შ. პროექტი ასევე შეიძლება ეხებოდეს ზემოაღნიშნული საკითხებიდან ერთ-ერთს ან ახდენდეს მათ კომპილაციას.

საბაკალავრო პროექტის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 6 000 სიტყვას და შესრულებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად, APA-სტილის სტანდარტის მიხედვით. ნაშრომი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში, ხოლო მისი პრეზენტაცია რომელიმე საპრეზენტაციო პროგრამაში (ppt, canvas და სხვა).

ნაშრომზე მუშაობის პროცესი და ეტაპები

საბაკალავრო პროექტი შეიძლება მომზადდეს მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრში და სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო კურსები:

- PUBL2000 კვლევის მეთოდები საჯარო ადმინისტრირებაში

- PUBL4112 შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში

კომპონენტზე რეგისტრაცია და ნაშრომის თემის შერჩევა

საბაკალავრო ნაშრომზე დარეგისტრირებულ სტუდენტებს ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის მენეჯერი/ასისტენტი უგზავნის შეტყობინებას, შესაბამისი ვადისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით. მოცემული ვადის დაცვით, სტუდენტმა ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის შესაბამის მენეჯერს/ასისტენტს უნდა გაუგზავნოს ხელმძღვანელთან შეთანხმებული საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სათაური, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, პირადი მეილისა და საკონტაქტო ნომრის მითითებით.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ჩათვლის, რომ საჭიროებს სკოლის მხრიდან კონსულტაციას საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სათაურის და/ან ხელმძღვანელის არჩევასთან დაკავშირებით, იგი უფლებამოსილია მიმართოს სკოლას, რომელიც შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელთან ერთად, სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებითა და მისი მონაწილეობით, განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის სავარაუდო თემას და ხელმძღვანელს. მნიშვნელოვანია, რომ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სავარაუდო სათაურის შერჩევა განხორციელდეს ზემოაღნიშნულ ვადაში, რომელიც სკოლის მიერ განისაზღვრება მოცემულ სემესტრში და რომლის შესახებ სკოლის მენეჯერი/ასისტენტი აცნობებს სტუდენტს.

საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განაცხადის ეტაპის ჩათვლით.

საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი

საბაკალავრო-კვლევით პროექტზე მუშაობა სამ ძირითად ეტაპს მოიცავს: კონცეფციის წარდგენა, წინასწარი განაცხადი, ნაშრომის დაცვა.

V კვირა — კონცეფციის წარდგენა
X კვირა — წინასწარი განაცხადი
XVIII კვირა — საბოლოო დაცვა

პროექტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

სტუდენტმა პროექტი უნდა გააგზავნოს, ხელმძღვანელთან თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრულ ვადამდე, კონცეფცია 5 სამუშაო დღით, წინასწარ განაცხადი 7 სამუშაო დღით, ხოლო საბოლოო ნაშრომი 12 სამუშაო დღით ადრე, უკუკავშირის მიღების მიზნით. ხელმძღვანელი ვალდებულია უკუკავშირი დაუბრუნოს, კონცეფციაზე 3 სამუშაო დღეში, წინასწარ განაცხადზე 5 სამუშაო დღეში, ხოლო საბოლოო ნაშრომზე 9 სამუშაო დღეში. სტუდენტს დარჩენილ დროში შეუძლია ნაშრომის გაუმჯობესება და ხარვეზის გამოსწორება. გასწორებულ ნაშრომს სტუდენტი აგზავნის თითოეული ეტაპისთვის დადგენილ ვადაში, ეტაპის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებს და სწავლების მენეჯერს. სწავლების მენეჯერი ნიშნავს და აორგანიზებს კონცეფციის, წინასწარი განაცხადისა და საბოლოო დაცვის პროცესებს აკადემიური კალენდარის შესაბამისად.

1. პროექტის კონცეფცია

საბაკალავრო პროექტის კონცეფციის მიზანია საკვლევი საკითხის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებების წარმოჩენა. კონცეფცია არის წინასწარი მონახაზი იმ ნაშრომისა, რომელიც სტუდენტებმა დროის განსაზღვრულ პერიოდში უნდა დაასრულონ და წარმოადგინონ საბაკალავრო-კვლევითი ნაშრომის სახით. კონცეფციის შედეგად, უნდა დადგინდეს კვლევის რაციონალურობა:

- რატომ არის საკითხი საინტერესო? არის თუ არა საკვლევი თემა აქტუალური თანამედროვე საჯარო მმართველობაში? რამდენად მნიშვნელოვანია საკითხის მოცემულობა ან პრობლემატიკა?
- აქვთ თუ არა სტუდენტებს საკმარისი ცოდნა შერჩეულ სფეროში? შეძლებენ თუ არა სტუდენტები წარმართონ კვლევა შერჩეული მიმართულებით?
- როგორ შეარჩიეს სტუდენტებმა მასალა და პირველწყაროები?
- შერჩეულია თუ არა კვლევის სათანადო მეთოდოლოგია? რამდენად შეძლებენ სტუდენტები უპასუხონ კვლევის ძირითად მიზანს შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით?

კონცეფციის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1000 სიტყვას.
კონცეფციას აფასებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე და

პროექტის ექსპერტი სასწავლო სემესტრის მე-5 კვირაში.

2. წინასწარი განაცხადი

საბაკალავრო-კვლევითი პროექტის წინასწარი განაცხადი წარმოადგენს ფინალური დაცვის საფუძველს და მასში მოცემული უნდა იყოს:

- საკითხის ანალიზი და კვლევის რაციონალურობის დასაბუთება, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები, არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა;
- დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია;
- გამოყენებული ლიტერატურა;
- პროექტის სავარაუდო სტრუქტურა;

წინასწარი განაცხადის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3000 სიტყვას.
წინასწარ
განაცხადს აფასებენ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე და
პროექტის ექსპერტი სასწავლო სემესტრის მე-10 კვირაში.

3. საბოლოო დაცვა

პროექტის დაცვა ხორციელდება სწავლების მე-18 კვირაში. საბოლოო დაცვისთვის დასრულებულ წერილობით ნაშრომთან (ვორდის ფორმატში) ერთად უნდა წარმოადგინოს საპრეზენტაციო ფაილი (ppt, Canva ან სხვა სოფთში მომზადებული). სტუდენტს აქვს საბოლოო დაცვის აღდგენის საშუალება მე-19 კვირას. აღდგენის პირობები რეგულირდება საბაკალავრო სწავლების დებულებით.

შეფასების კრიტერიუმები

კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები

კონცეფცია ფასდება მაქსიმუმ 20 ქულით, შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით

1	**ნაშრომის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევის რაციონალურობის დასაბუთება, საკითხის აქტუალურობა, საკვლევი კითხვები და ამოცანები**	**6 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად	100% -(6.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით	85% -(5,10)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით	70% - (4,20)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით	50% - (3.0)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით	35% - (2.10)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით	20% - (1.20)
	არ არის წარმოდგენილი	0% - (0.0)
2	**ნაშრომის ზოგადი კვლევის მეთოდოლოგია და მისაღწევ შედეგებთან მიმართება**	**5 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად;	100% - (5.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით;	85% - (4.25)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	70% - (3.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით;	50% - (2.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	35% - 1.75)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	20% - (1.0)
	არ არის წარმოდგენილი;	0% - (0.0)
3	**ტექნიკური გაფორმება**	**2 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად;	100% - (2.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით;	85% - (1.70)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	70% - (1.40)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით;	50% - (1.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	35% - (0.70)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	20% - (0.40)
	არ არის წარმოდგენილი;	0% - (0.00))
4	**პრეზენტაცია და დისკუსია საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.**	**7 ქულა**
	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მკაფიოდ არის გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	100% - (7.00)
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; მკაფიოდ არის გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	85% - (5.95)
	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; გასაგებად არის გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	70% - (4.9)
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ინდივიდუალური ხედვა, იდეები არ არის გასაგებად გადმოცემული;	50% - (3.5)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; არ არის გასაგებად გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	35% - 2.45)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	20% - (1.4)
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; არ არ არის წარმოდგენილი ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	0% - (0)

წინასწარი განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

წინასწარი განაცხადი ფასდება მაქსიმუმ 35 ქულით, შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით

1	**საკითხის აქტუალობა, ნაშრომის მთავარი იდეა, მიზანი, კვლევითი კითხვები და**	**5 ქულა**

	ამოცანები, ნაშრომის სავარაუდო შედეგები, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა	
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად;	100% - (5.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით;	85% - (4.25)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	70% - (3.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით;	50% - (2.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	35% - 1.75)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	20% - (1.0)
	არ არის წარმოდგენილი;	0% - (0.0)
2	**ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა. შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა.**	**10 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად;	100% - (10.00)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით;	85% - (8,5)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	70% - (7.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით;	50% - (5.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	35% - (3.5)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	20% - (2.00)
	არ არის წარმოდგენილი;	0% - (0.00)
3	**ნაშრომის დეტალური კვლევითი მეთოდოლოგია თითოეული ამოცანის მიხედვით**	**10 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად;	100% - (10.00)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით;	85% - (8,5)
	წარმოდგენილია მცირედი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	70% - (7.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით;	50% - (5.00)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	35% - (3.5)
	წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	20% - (2.00)
	არ არის წარმოდგენილი;	0% - (0.00)
4	**პრეზენტაცია და დისკუსია საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.**	**10 ქულა**
	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მკაფიოდ არის გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	100% - (10.0)
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; მკაფიოდ არის გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	85% - (8.5)
	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; მეტწილად გასაგებად არის გადმოცემული ინდივიდუალური ხედვა, იდეები;	70% - (7.00)
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ინდივიდუალური ხედვა, იდეები გასაგებად არ არის გადმოცემული;	50% - (5.00)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ინდივიდუალური ხედვა, იდეები გასაგებად არ არის გადმოცემული;	35% - (3.50)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ინდივიდუალური ხედვა, იდეები. არ არის წარმოდგენილი;	20% - (2.0)
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ინდივიდუალური ხედვა, იდეები. არ არის წარმოდგენილი;	0% - (0.0)

პროექტის საბოლოო დაცვის შეფასების კრიტერიუმები

საბოლოო დაცვა ფასდება მაქსიმუმ 45 ქულით შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით

1	**ნაშრომის მიზნის, კვლევითი კითხვ(ებ)ის, ჰიპოთეზის, ან/და ამოცანების რაციონალურობა, რელევანტურობა და აქტუალობა პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის**	**3 ქულა**
	პროექტის მიზანი და ამოცანები სავსებით რელევანტური და აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის;	100%-(3.0)
	პროექტის მიზანი და ამოცანები სავსებით რელევანტური და მეტწილად აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის;	85% - (2.55)
	პროექტის მიზანი და ამოცანები მეტწილად რელევანტური და მეტწილად აქტუალურია პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის;	70% -(2.10)
	პროექტის მიზანი და ამოცანები მეტ-ნაკლებად რელევანტური და აქტუალურია	50% -(1.50)

	პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის;	
	პროექტის მიზანი და ამოცანები მეტ-ნაკლებად რელევანტურია და ნათლად არ იკვეთება პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის აქტუალობა;	35% - (1.05)
	პროექტის მიზანი და ამოცანები მეტ-ნაკლებად რელევანტური და არ არის აქტუალური პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის;	20% -(0.60)
	პროექტის მიზანი და ამოცანები არ არის რელევანტური და აქტუალური პროფესიული და აკადემიური წრეებისთვის;	0% -(0.00)
2	**ნაშრომის ზოგადი სტრუქტურა, წერილობითი ტექსტი, ლექსიკა, ნაშრომის მოცულობა და ციტირება;**	**3 ქულა**
	წარმოდგენილია ნათლად და სრულყოფილად;	100%-(3.0)
	წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით;	85% - (2.55)
	წარმოდგენილი ხარვეზები შეეხება ტექსტის, ლექსიკის ნაწილს, თუმცა არა ციტირების კომპონენტს და ნაშრომის მოცულობას;	70% -(2.10)
	ხარვეზების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ციტირების კომპონენტს, თუმცა არა ნაშრომის მოცულობას;	50% -(1.50)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, ხარვეზებით უმეტესწილად ციტირების ნაწილში და დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები;	35% - (1.05)
	წარმოდგენილია ფრაგმენტულად, მნიშვნელოვანი ხარვეზებით, დარღვეულია ნაშრომის მოცულობის მოთხოვნები;	20% -(0.60)
	არ არის წარმოდგენილი ან წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით.;	0% -(0.00)
3	**საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. მოძიებული ლიტერატურის რელევანტურობა და სანდოობა ლიტერატურაზე დაყრდნობით პროექტის თემასთან დაკავშირებული პრობლემების, გარემოს, სექტორული მიმართულებისა თუ სფეროს მრავალმხრივი გაანალიზება, პრობლემის გამოკვეთა;**	**4 ქულა**
	მოძიებული ლიტერატურა სავსებით რელევანტური და სანდოა, ლიტერატურაზე დაყრდნობით	100% - (4.0)
	მრავალმხრივად გაანალიზებულია საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები,	
	ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასაბუთებული დასკვნები;	
	მოძიებული ლიტერატურა სავსებით რელევანტური და სანდოა; ლიტერატურაზე დაყრდნობით მეტწილად გაანალიზებულია საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასკვნები;	85% - (3.40)
	მოძიებული ლიტერატურა რელევანტური და სანდოა; ლიტერატურაზე დაყრდნობით	70% - (2.80)
	გაანალიზებულია საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო,	
	ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასკვნები;	
	მოძიებული ლიტერატურა მეტ-ნაკლებად რელევანტური და სანდოა; ლიტერატურაზე დაყრდნობით ნაწილობრივ გაანალიზებულია საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და წარმოდგენილია დასკვნები;	50% - (2.00)
	მოძიებული ლიტერატურა მეტ-ნაკლებად რელევანტური, სანდო და არასაკმარისია;	35% - (1.40)
	ლიტერატურაზე დაყრდნობით მცირედით გაანალიზებულია საბაკალავრო თემასთან	
	დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და არ არის წარმოდგენილი	
	დასკვნები.;	
	მოძიებული ლიტერატურა მეტ-ნაკლებად რელევანტური, სანდო და არასაკმარისია; ლიტერატურაზე დაყრდნობით ნაკლებად არის გაანალიზებულია საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და არ არის წარმოდგენილი დასკვნები;	20% - (0.80)
	მოძიებული ლიტერატურა არ არის რელევანტური, სანდო და საკმარისი; ლიტერატურაზე	0% - (0.00))
	დაყრდნობით არ არის გაანალიზებული საბაკალავრო თემასთან დაკავშირებული პრობლემები,	
	ინდუსტრია, გარემო, ბაზარი, სფერო და არ არის წარმოდგენილი დასკვნები;	
	ნაშრომის კვლევითი მეთოდოლოგია თითოეული ამოცანის მიხედვით; საბაკალავრო პროექტის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი; მონაცემების შეგროვება და სწორი გამოყენება;	**10 ქულა**
	პროექტის კვლევითი მეთოდოლოგია სრულყოფილია თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ	100% - (10.00)
	საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი სრულყოფილია; მონაცემები შეგროვებულია	
	და სწორად გამოყენებული;	

4	პროექტის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი არ შეიცავს ხარვეზებს; მონაცემები შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	85% - (8,5)
	პროექტის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მცირედი ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მცირედ ხარვეზებს; მონაცემები შეგროვებულია და სწორად გამოყენებული;	70% - (7.00)
	პროექტის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს; მონაცემები არ არის სრულყოფილად შეგროვებული და არ არის სწორად გამოყენებული;	35% - (3.5)
	პროექტის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს; მონაცემების შეგროვება არადამაკმაყოფილებელია და არ არის სწორად გამოყენებული;	20% - (2.00)
	პროექტის კვლევითი მეთოდოლოგია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით/ ან არ არის წარმოდგენილი თითოეული ამოცანის მიხედვით; საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ანალიზი არ არის ჩატარებული; მონაცემები არ არის შეგროვებული;	0% - (0.00)
5	**კვლევის შედეგები და დასკვნები. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება**	**10 ქულა**
	მოპოვებული ინფორმაცია სრულყოფილად არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	100% - (10.00)
	მოპოვებული ინფორმაცია მცირედი, უმნიშვნელო ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	85% - (8,5)
	მოპოვებული ინფორმაცია მცირედი, მაგრამ არა უმნიშვნელო ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე მეტწილად ჩამოყალიბებულია დასაბუთებული დასკვნები;	70% - (7.00)
	მოპოვებული ინფორმაცია ხარვეზებით არის დამუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები;	50% - (5.00)
	მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დამუშავებული და შეიძლება არ იყენებდეს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები ნაკლებად ადექვატურია და არ არის დასაბუთებული;	35% - (3.5)
	მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის დამუშავებული და შეიძლება არ იყენებდეს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის ფარგლებში) საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები არ არის ადექვატური;	20% - (2.00)
	მოპოვებული ინფორმაცია არ არის დამუშავებული და არ იყენებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს; ჩატარებული ანალიზის (კვლევისა თუ მიმოხილული ძირითადი ლიტერატურის	0% - (0.00)

	ფარგლებში) საფუძველზე არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები;	
	პრეზენტაცია და დისკუსია საპრეზენტაციო თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებზე.	**15 ქულა**
	პრეზენტაცია სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; ინდივიდუალური ხედვა და იდეები	100% (15.00)
	ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული;	
	პრეზენტაცია უმეტესად სრულყოფილია, თუმცა გაწელილია; ლექსიკა გამართული; ინდივიდუალური ხედვა და იდეები ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული;	85% - (12.,75)
6	პრეზენტაცია მეტ-ნაკლებად სრულყოფილია; ლექსიკა გამართული; ინდივიდუალური ხედვა და	70% - (10.50)
	იდეები მეტწილად გასაგებად არის გადმოცემული;	
	პრეზენტაცია ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა მეტ-ნაკლებად გამართულია; ინდივიდუალური ხედვები და იდეები გასაგებად არის გადმოცემული;	50% - (7.50)
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა ინდივიდუალური	35% - (5.25)
	ხედვა და იდეები არ არის გასაგებად გადმოცემული;	
	პრეზენტაცია მნიშვნელოვანი ხარვეზებით არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ინდივიდუალური ხედვა, იდეები არ არის წარმოდგენილი;	20% - (3.00)
	პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი; ლექსიკა გაუმართავია; ინდივიდუალური ხედვა და	0% - (0.00)
	იდეები არ არის წარმოდგენილი;	

ნაშრომის სტრუქტურა

- მოკლე მიმოხილვა
- ნაშრომში მოყვანილი ცხრილების, ნახატების და ილუსტრაციების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)
- ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურების ჩამონათვალი (არასავალდებულო)
- ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი (არასავალდებულო)
- შესავალი
- თავი 1 (თავის სათაური)

  1.1 (ქვეთავის სათაური)
  1.2. (ქვეთავის სათაური)
  და ა.შ.
- თავი 2 (თავის სათაური)

  2.1. (ქვეთავის სათაური)
  2.2. (ქვეთავის სათაური)
  და ა.შ.
- თავი 3 (თავის სათაური)

  3.1. (ქვეთავის სათაური)
  3.2. (ქვეთავის სათაური)
  და ა.შ.
- დასკვნები და რეკომენდაციები
- დანართები:
- გამოყენებული ლიტერატურა

Instruction for Implementing the Bachelor's Research Project for Students of the Public Administration Bachelor's Program

Introduction

Purpose

The Bachelor's research project is a summary of the knowledge acquired through studying the compulsory and elective components of the program, in the form of a final practical paper, the aim of which is to demonstrate the correspondence of the student's knowledge and practical skills with the learning outcomes defined by the program.

The aim of the project is for students, in the course of practical work, to be able to consolidate the research, analytical, field-specific and transferable knowledge and skills they have acquired and, accordingly, to link the knowledge, methods, analytical approaches and generalized concepts gained in public administration to a specific topic in a direction of interest to them. More specifically, the project envisages that, when carrying out the Bachelor's research project, the student, in a direction selected under the supervisor's guidance, will be able to clearly and unambiguously define the aim and objectives of the research, select relevant research methods and apply them to carry out the research. The process also aims at analyzing the research results and a reasoned analysis of the acquired knowledge in the context of the chosen topic, and at identifying and communicating opinions or ideas related to the project topic and the work performed, the problems identified and possible ways of solving them.

A distinctive feature of the project is that students are given the opportunity to work on the project individually and independently, under supervision, while the final work, which is presented in the form of a document (research report, policy document, etc.), has a practical character, which is expressed in the fact that the Bachelor's research project may be carried out in various areas of public administration, for example good governance, public services, decentralization issues, e- governance, management of civil society organizations, and others.

